



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

(სსიპ-სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია ბუაძე

წევრები:

დავით ჩივაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ირმა ავალიანი -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

მარინა ტარულიშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნინო ბურჯანაძე -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

მაკა გიორგბერიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ნონა გამხიტაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ნანა შალამბერიძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ჯულიეტა ტაბეშაძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ვლადიმერ უშიკიშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა ბენდელიანი -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	238762816

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩხენიში
ფაქტობრივი მისამართი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩხენიში
საფოსტო ინდექსი	3900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ჩხენიშის საჯარო სკოლის ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chkhenishi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	+995577939925, +995599788333

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 24 00008301749 (08/07/2024)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 12 და 13 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხენიში. შენობა-ნაგებობების რაოდენობა-ერთი.
	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხენიში. შენობა-ნაგებობების რაოდენობა-ერთი.
	საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხენიში. შენობა-ნაგებობების რაოდენობა-ერთი.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2024 წლის 12 და 13 აგვისტოს სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

1. მაია ბუაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
2. დავით ჩივაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
3. ირმა ავალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
4. მარინა ტარულიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
5. ნინო ბურჯანაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
6. მაკა გიორგბერიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
7. ნონა გამხიტაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
8. ნანა შალამბერიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
9. ჯულიეტა ტაბეშაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
10. ვლადიმერ უშიკიშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
11. ხათუნა ბენდელიანი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრნენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ:

12 აგვისტოს, teams-ის საშუალებით სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ხოლო 13 აგვისტოს-teams-ის საშუალებით კათედრების მიხედვით, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვასა და შეფასების სისტემებზე. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი გაესაუბრა შესაბამის საფეხურზე შემავალ ყველა საგნის ექსპერტს და საკუთარი მიგნებები გაუზიარა თითოეულ საგნობრივ ექსპერტს. ორივე დღეს, სკოლის პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ, შედგა ექსპერტების გაერთიანებული შეხვედრა, რომელზეც მოხდა მოსაზრებების შეჯამება. დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა

საკუთარი არგუმენტირებული პოზიცია გაუზიარა შესაბამისი საგნების ექსპერტებს, რაც გათვალისწინებულ იქნა საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ჩეკლისტების შევსებისას.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ <u>მეტწილად შეესაბამება</u> ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ <u>შეესაბამება</u>

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ <u>მეტწილად შეესაბამება</u> ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ <u>მეტწილად შეესაბამება</u> ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	სკოლა არის ერთცვლიანი.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, მეტწილ შესაბამისად შეაფასა საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

<i>სტანდარტი N1</i>	სკოლის ფილოსოფია	<i>ხარვეზი</i>
<i>ინდიკატორი N</i>		
<i>სტანდარტი N3</i>	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	<i>ხარვეზი</i>
<i>სტანდარტი N4</i>	მოსწავლეთა მხარდაჭერა	<i>ხარვეზი</i>
<i>ინდიკატორი N</i>		



სტანდარტი N2	დაწყებითი საფეხური	ხარვეზი

სტანდარტი N2	საბაზო საფეხური	ხარვეზი

სტანდარტი N2	საშუალო საფეხური	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ 30.08.2024-30.08.2025 პერიოდში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა;
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების	<u>სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 21.05.2024-21.05.2025 პერიოდში უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღება.</u>



	სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
<i>სტანდარტი N4</i>	<i>მოსწავლეთა მხარდაჭერა</i>	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>
<i>ინდიკატორი N....</i>		

<i>სტანდარტი N2</i>	<i>სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური</i>	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სკოლამ 30.08.2024-30.08.2025 პერიოდში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა;
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამის მატერიალური რესურსით, მოსწავლეთ ადგილების ზღვრული რაოდენობით გათვალისწინებით;	სკოლამ 30.08.2024-30.08.2025 პერიოდში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა;

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	სკოლამ 30.08.2024-30.08.2025 პერიოდში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა;



	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამის მატერიალური რესურსით, მოსწავლეებს ადგილების ზღვრული რაოდენობით გათვალისწინებით;	სკოლამ 30.08.2024-30.08.2025 პერიოდში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა;

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1..	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა:I-VI კლასების კურიკულუმებში სასურველია, დაემატოს სასკოლო სახელმძღვანელოებში მითითებული კომპლექსური ტიპის დავალებები; შესაძლებელია მათემატიკის ვებსაიტზე განთავსებული დავალებების https://math.ge/skolis-masala/ გამოყენება; ბუნებისმეტყველება: კურიკულუმის ჩარჩოებში სასურველია, მიეთითოს სახელმძღვანელოს გვერდები (მაგ 1-ელ კლასში); გადამოწმდეს, რამდენად აქტიურია ყველა ბმული (მაგ; 1-ლი და მე-6 კლასის ზოგიერთი ლინკი), კონტექსტ-მაგალითები დაკონკრეტდეს მოკლე აღწერით ან ბმულით (მაგ. ანიმაციის ჩვენება მე-2 კლასის ჩარჩოში); გამოიკვეთოს სავალდებულო თემები (მე-4 კლასში - დედამიწა და ციკლური პროცესები, მე-5 ში სამ სავალდებულო თემაში სასურველია, გაერთიანდეს შესაბამისი ქვეთემები). კურიკულუმის ჩარჩოს სასურველია ახლდეს მატრიცებიდან მხოლოდ კომპლექსური ბუნების დავალების პირობა თავისი შეფასების კრიტერიუმებით. საზოგადოებრივი მეცნიერებები: გასათვალისწინებელია, რომ კურიკულუმში აისახოს სტანდარტით განსაზღვრულ ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავება და კომპლექსური დავალებები დაეფუძნოს კონტექსტ-მაგალითებს („მე და საზოგადოება“, მე-3 და მე-4, „ჩვენი საქართველო“, მე-5 და მე-6 კლ). ასევე მნიშვნელოვანია, რომ საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალითები შედარებისთვის და რესურსები ერთმანეთთან შესაბამისობაში იყოს („ჩვენი საქართველო“, მე-5 და მე-6 კლ). სახელმწიფო ენა: სასურველია, თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული იქნას შემოქმედებითი ტიპის დავალებები/აქტივობები გრძელვადიანი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ბუნებისმეტყველება: კურიკულუმის ჩარჩოებში სასურველია, მიეთითოს სახელმძღვანელოს გვერდები (მაგ 1-ელ კლასში); გადამოწმდეს, რამდენად აქტიურია ყველა ბმული (მაგ; 1-ლი და მე-6 კლასის ზოგიერთი ლინკი), კონტექსტ-მაგალითები დაკონკრეტდეს მოკლე აღწერით ან ბმულით (მაგ. ანიმაციის ჩვენება მე-2 კლასის ჩარჩოში); გამოიკვეთოს სავალდებულო თემები (მე-4 კლასში - დედამიწა და ციკლური პროცესები, მე-5 ში სამ სავალდებულო თემაში სასურველია, გაერთიანდეს შესაბამისი ქვეთემები). კურიკულუმის ჩარჩოს სასურველია ახლდეს მატრიცებიდან მხოლოდ კომპლექსური ბუნების დავალების პირობა თავისი შეფასების კრიტერიუმებით; სასურველია, მიეთითოს საგნობრივ კურიკულუმში თემისათვის /საკითხისთვის დათმობილი სავარაუდო საათები; კურიკულუმის ჩარჩოთი ან მატრიცებით წარმოდგენილი ძირითადი აქტივობების გარდა, საგნობრივ კურიკულუმში სასურველია, ჩანდეს



		მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული აქტივობები (ასევე სასწავლო თემებთან დაკავშირებული ღონისძიებები, მაგ: დედამიწის დღისადმი მიღწილი აქტივობები) მათემატიკა: I-VI კლასების კურიკულუმებში სასურველია, დაემატოს სასკოლო სახელმძღვანელოებში მითითებული კომპლექსური ტიპის დავალებები; შესაძლებელია მათემატიკის ვებსაიტზე განთავსებული დავალებების https://math.ge/skolis-masala/ გამოყენება; საზოგადოებრივი მეცნიერებები: გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, საინფორმაციო პოსტერის მომზადება სახელწოდებით „როგორ გამოვიყენებ მიღებულ განათლებას ცხოვრებაში“ („მე და საზოგადოება“, მე-4 კლ). სახელმწიფო ენა: სასურველია თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული იქნას შემოქმედებითი ტიპის დავალებები/აქტივობები გრძელვადიანი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია, კურიკულუმში ყველგან აისახოს სახელმძღვანელო, როგორც ძირითადი რესურსი და, შესაბამისად, მიეთითოს გვერდებიც („ჩვენი საქართველო“, მე-6 კლ) სახელმწიფო ენაში: სასწავლო შედეგების მიღწევის მიზნით სასურველია საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს თემატური კონტექსტმაგალითები და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	ბუნებისმეტყველება: სასურველია, კურიკულუმებში აისახოს კონტექსტმაგალითის, მაგალითები შედარებისათვის ან რესურსების საკუთარი მაგალითები (მაგ. კლას-კომპლექტის შემთხვევაში ან ნებისმიერ სხვა კურიკულუმში), რაც მაღალი ალბათობით გამოკვეთს დიფერენცირების, ინკლუზიური მიდგომის, სასწავლო პროცესში მოტივაციის ამაღლების და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებით დაინტერესების მაგალითებს. ; სასურველია, ეკოწრის “ბუნების მცველები”



		წესდებაში განისაზღვროს, შეეძლება თუ არა და რა ფორმით, მიიღონ მონაწილეობა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა. სახელმწიფო ენა: მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის გაზრდისთვის კურიკულუმის დაგეგმვისას სასურველია გათვალისწინებული იყოს სასწავლო მასალის დიფერენცირება და მრავალფეროვანი დამხმარე რესურსების გამოყენება.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემის შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ბუნებისმეტყველება: სასურველია, გაიზარდოს შემაჯამელ სამუშაოებში შემოქმედებითი სამუშაოს წილი, დავალებების შინაარსი ორიენტირდეს პროცედურაზე, ანალიზზე, შექმნასა და მოსწავლის მიერ შეფასებაზე არგუმენტირებული მსჯელობის გზით. ასევე ხელი შეეწყოს მოსწავლეთა თვითშეფასებას ამა თუ იმ ფორმით. მათემატიკა: მოსწავლის შეფასების სისტემა მათემატიკაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არასრულყოფილია. სახელმწიფო ენა: დაწყებით საფეხურზე განხორციელებული აქტივობები შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის შეფასება); განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისას სასურველია, გამოიკვეთოს გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით, კონკრეტულ ინდიკატორზე დაყრდნობით; სასურველია, სოლო ტაქსონომიის დონეების



		აღწერილობაც შეესაბამებოდეს კონკრეტული კომპლექსური დავალების სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს. სპორტი: სასურველია, შეფასების რუბრიკები შემუსავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილ სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	ბუნებისმეტყველება: სასურველია კათედრის მიერ შერჩეული ფორმით სადიაგნოსტიკო შეფასებები ბუნებისმეტყველებაში, რაც გაზრდის მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას როგორც საგნობრივი პროგრამის, ასევე ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების კუთხით დაწყებით საფეხურზე და კათედრის/მასწავლებლის მხრიდან შესაბამისად რეაგირებას.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდურ გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ სამართლიანი;	ბუნებისმეტყველება: განმსაზღვრელი შეფასების დროს შემაჯამებელი სამუშაოების კრიტერიუმებისა და მოსწავლის მიღწევის დონის აღწერისთვის სჯობს, დადგინდეს რა ხარისხობრივი მიმართებაა სამიზნე ცნებებთან.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე).	ბუნებისმეტყველება: სასწავლო პროცესის დროს შექმნილი რესურსები (მათ შორის, როგორც მასწავლებლის მიერ, ასევე მოსწავლეების მიერ შექმნილი) შესაძლოა, იქცეს სასწავლო რესურსებად და ინტეგრირდეს კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის თემებში, რაც კურიკულუმს გაამდიდრებს და გაზრდის ინკლუზიურობის ხარისხს.; საბუნებისმეტყველო კაბინეტის

		დატვირთვის განრიგში გაწერეთ მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეთა გაკვეთილებიც.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლას ჰყავს კანონმდებლობით მოთხოვნებთან შესაბამისი კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	საზოგადოებრივ მეცნიერებები: დამატებით რესურსებში, სადაც წერია „ინტერნეტ-რესურსები“, სასურველია ბმულის მითითება („ჩვენი საქართველო“, მე-6 კლასი).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1..	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა: სასურველია, მე-7 და მე-9 კლასი კურიკულუმებში დაემატოს სასკოლო სახელმძღვანელოებში მითითებული დავალებები, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ვებსაიტზე გ საზოგადოებრივ მეცნიერებებში: გასათვალისწინებელია, რომ ჭიმპლექსური დავალების საკითხი განიხილებოდეს კონტექსტ-მგალითებზე დაფუძნებით („მოქალაქეობა“, მე-7 და მე-8 კლ). ამ მხრივ ასევე საყურადღებოა მაგალითები შედარებისთვის, რაც ეძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას („ისტორია“, მე-8, მე-9 კლ, „მოქალაქეობა“ მე-7, მე-8 კლ); სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს არა სახელმძღვანელოს თავის დასახელება, არამედ თემა („ისტორია“ მე-9 კლ); ასევე უ



		გასათვალისწინებელია, რომ ყველა თემაში ყველა ცნება დამუშავდეს („ისტორია“ მე-7, „გეოგრაფია“ მე-9 კლ); გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, „მიმართვის წერილის მომზადება თემში არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით“ („მოქალაქეობა“ მე-7, მე-8 კლ, „გეოგრაფია“ მე-9 კლ). სახელმწიფო ენა: სასურველია, თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული იქნას შემოქმედებითი ტიპის დავალებები/აქტივობები გრძელვადიანი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: თემაში დაგეგმილ შემაჯამებელ სამუშაოში, რომელიც კომბინირებულ ტესტს წარმოადგენს და მიიღწევა რომელიმე გრძელვადიანი მიზანი, შესაძლებელია, გაიზარდოს შემოქმედებითი სამუშაოს მოცულობა დავალების იმგვარად შერჩევით, რომელიც მოსწავლეს მისცემს თავად შექმნას რაიმე პროდუქტი (მაგ. სქემა, ცხრილი, ამოცანის პირობა კითხვებით და ა.შ.)
--	--	---



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: თემაში დაგეგმილ შემაჯამებელ სამუშაოში, რომელიც კომბინირებულ ტესტს წარმოადგენს და მიიღწევა რომელიმე გრძელვადიანი მიზანი, შესაძლებელია, გაიზარდოს შემოქმედებითი სამუშაოს მოცულობა (მაგ. სქემა, ცხრილი, ამოცანის პირობა კითხვებით და ა.შ.); კურიკულუმებში სჯობს, აისახოს თემების მიხედვით სავარაუდო საათობრივი განაწილება, შეძლება მიეთითოს ე.წ. სარეზერვო საათებიც; ძირითად აქტივობებს გარდა, საგნობრივ კურიკულუმში სასურველია გამოიკვეთოს მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული აქტივობები, რაც საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო მოქნილს, სასკოლო კურიკულუმს კი შესძენს უნიკალობას. ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება სასწავლო თემებს და ხელს უწყობს საკითხის უკეთ გააზრებას, აისახოს კურიკულუმში (მაგ. პროექტი პირის ღრუს ჰიგიენის შესახებ - ბიოლოგია მე-8 კლასი თემა - სატრანსპორტო სისტემა, დაუნიზმის სინდრომის ცნობადობის ამაღლების შესახებ - მე-9 კლასი ბიოლოგია თემა- სახეობა, პოპულაცია და სხვა); მათემატიკა: სასურველია, მე-7 და მე-9 კლასი კურიკულუმებში დაემატოს სასკოლო სახელმძღვანელოებში მითითებული დავალებები, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მათემატიკის ვებსაიტზე ბ ა ნაზოგადოებრივი მეცნიერებები: კურიკულუმის შემუშავებისას მნიშვნელოვანია სტანდარტით შემოთავაზებული სავალდებულო
---	--	---



		თემების გათვალისწინება. სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს არა სახელმძღვანელოს თავის დასახელება, არამედ თემა („ისტორია“ მე-9 კლ); ასევე გასათვალისწინებელია, რომ ყველა თემაში ყველა ცნება დამუშავდეს („ისტორია“ მე-7, „გეოგრაფია“ მე-9 კლ); გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, „მიმართვის წერილის მომზადება თემში არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით“ („მოქალაქეობა“ მე-7, მე-8 კლ, „გეოგრაფია“ მე-9 კლ). სახელმწიფო ენა: სასურველია, თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული იქნას შემოქმედებითი ტიპის დავალებები/აქტივობები გრძელვადიანი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახელმწიფო ენა: მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის გაზრდისთვის კურიკულუმის დაგეგმვისას სასურველია, გათვალისწინებული იყოს სასწავლო მასალის დიფერენცირება და მრავალფეროვანი დამხმარე რესურსების გამოყენება. სასწავლო შედეგების მიღწევის მიზნით სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს და სასწავლო პროცესში გამოყენებული თემატური კონტექსტმაგალითები და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. საზოგადოებრივი მეცნიერებები: ძირითად სასწავლო რესურსად მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელო (გამომცემლობა,



		გვერდები)-(„ისტორია“, მე-7, „გეოგრაფია“ მე-7 კლ, „მოქალაქეობა“ მე-7, მე-9 კლ). მათემატიკა: მე-7კლასის კურიკულუმში ყველა თემის გასწვრივ სასურველია, მიეთითოს რომელ სასწავლო რესურსს იყენებენ მათემატიკის სწავლებისას.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემის შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს და მოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: შემაჯამებელი სამუშაოების დავალებების პირობა სჯობს მეტად ორიენტირდეს მაღალ სააზროვნო უნარებზე, შემცირდეს ფაქტობრივი/დეკლარატიული ცოდნის გამოვლენაზე მიმართული კითხვები. შემაჯამებელ დავალებაში მაქსიმალურად შემცირდეს არჩევითბოლოიანი დავალებები; სახელმწიფო ენა: საბაზო საფეხურზე განხორციელებული აქტივობები შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის შეფასება); განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისას გამოიკვეთოს გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართება, კონკრეტულ ინდიკატორზე დაყრდნობით. სასურველია, სოლო ტაქსონომიის დონეების აღწერილობაც შეესაბამებოდეს კონკრეტული კომპლექსური დავალების სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს. სპორტი: სასურველია შეფასების რუბრიკები შემუსავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდურ გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებთან თანდართული დაკვირვებადი სასწავლო შედეგები სტრუქტურის ტაქსონომია ე წ, სოლო, დააკონკრეტეთ მოცემულ კომპლექსური ტიპის დავალებასთან მიმართებით
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; (შესაძლოა არ შეივსო პირველად ავტორიზაციაზე).	ბუნებისმეტყველება: სკოლის მიერ დამატებითი ელექტრონული რესურსები შესაძლოა, ინტეგრირდეს კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის თემაში, რაც კურიკულუმს გაამდიდრებს, გაზრდის ინკლუზიურობის ხარისხს და შესძენს უნიკალობას სასკოლო კურიკულუმს; საზოგადოებრივი მეცნიერებები: დამხმარე ინტერნეტრესურსების გამოყენების დროს საჭიროა, მიეთითოს შესაბამისი ბმული („ისტორია“ მე-7, მე-8, მე-9 კლ)
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საზოგადოებრივ მეცნიერებები: დამხმარე ინტერნეტრესურსების გამოყენების დროს სასურველია, მიეთითოს შესაბამისი ბმული („ისტორია“ მე-7, მე-8, მე-9 კლ)

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	რჩევა
---------------------	---	--------------



ინდიკატორი 2.1.2.1..	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა: სასურველია, მე-7 და მე-9 კლასი კურიკულუმებში დაემატოს სასკოლო სახელმძღვანელოებში მითითებული დავალებები, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მათემატიკის ვებსაიტზე ბ ა ჭაზოგადოებრივი მეცნიერებები: გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების საკითხი განიხილებოდეს კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებით „მოქალაქეობა“, მე-7 და მე-8 კლ). ამ მხრივ ასევე საყურადღებოა მაგალითები შედარებისთვის, რომელიც გვამღვდნის ცოდნის ეონსტრუირების საშუალებას („ისტორია“, მე-8, მე-9 კლ, „მოქალაქეობა“ მე-7, მე-8 კლ); სასურველია, კურიკულუმში უნდა გაიწეროს არა სახელმძღვანელოს წავის დასახელება, არამედ თემა („ისტორია“ მე-9 კლ); ასევე გასათვალისწინებელია, რომ ყველა თემაში ყველა ცნება დამუშავდეს („ისტორია“ მე-7, „გეოგრაფია“ მე-9 კლ); ა გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, „მიმართვის წერილის მომზადება თემაში პრსებულ პრობლემასთან დაკავშირებით“ („მოქალაქეობა“ მე-7, მე-8 კლ, „გეოგრაფია“ მე-9 კლ). ე სახელმწიფო ენა: სასურველია, თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული იქნას შემოქმედებითი ტიპის დავალებები/აქტივობები გრძელვადიანი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. ბ ი
--	---	---



		საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: _თემაში დაგეგმილ შემაჯამებელ სამუშაოში, რომელიც კომბინირებულ ტესტს წარმოადგენს და მიიღწევა რომელიმე გრძელვადიანი მიზანი, სასურველია, გაიზარდოს შემოქმედებითი სამუშაოს მოცულობა, რაც მოსწავლეს მისცემს საშუალებას თავად შექმნას რაიმე პროდუქტი (მაგ. სქემა, ცხრილი, ამოცანის პირობა კითხვებით და ა.შ.)
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: თემაში დაგეგმილ შემაჯამებელ სამუშაოში, რომელიც კომბინირებულ ტესტს წარმოადგენს და მიიღწევა რომელიმე გრძელვადიანი მიზანი, სასურველია, გაიზარდოს შემოქმედებითი სამუშაოს მოცულობა, რაც მოსწავლეს მისცემს საშუალებას თავად შექმნას რაიმე პროდუქტი (მაგ. სქემა, ცხრილი, ამოცანის პირობა კითხვებით და ა.შ.) ; კურიკულუმებში სჯობს, აისახოს თემების მიხედვით სავარაუდო საათობრივი განაწილება, შეძლება მიეთითოს ე.წ.სარეზერვო საათებიც; ძირითად აქტივობებს გარდა, საგნობრივ კურიკულუმში სასურველია, გამოიკვეთოს მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული აქტივობები, რაც საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო მოქნილს, სასკოლო კურიკულუმს კი შესძენს



		უნიკალობას. ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება სასწავლო თემებს და ხელს უწყობს საკითხის უკეთ გააზრებას, აისახოს კურიკულუმში (მაგ.პროექტი პირის ღრუს ჰიგიენის შესახებ - ბიოლოგია მე-8 კლასი თემა - სატრანსპორტო სისტემა, დაუნიზმის სინდრომის ცნობადობის ამაღლების შესახებ -მე-9 კლასი ბიოლოგია თემა- სახეობა, პოპულაცია და სხვა) მ სასურველია, მე-7 და მე-9 კლასი კურიკულუმებში დაემატოს ხასკოლო სახელმძღვანელოებში მითითებული დავალებები, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მათემატიკის ვებსაიტზე მ ა ჭაზოგადოებრივ მეცნიერებები: კურიკულუმის შემუშავებისას მნიშვნელოვანია სტანდარტით შემოთავაზებული სავალდებულო ფემების გათვალისწინება. კურიკულუმში სასურველია გაიწეროს არა ჭახელმძღვანელოს თავის დასახელება, არამედ თემა („ისტორია“ მე-9 კლ); ასევე გასათვალისწინებელია, რომ ყველა თემაში ყველა ცნება დამუშავდეს („ისტორია“ მე-7, „გეოგრაფია“ მე-9 კლ); ბ გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს უკონკრეტული. მაგალითად, „მიმართვის წერილის მომზადება თემაში წრებულ პრობლემასთან დაკავშირებით“ („მოქალაქეობა“ მე-7, მე-8 კლ, „გეოგრაფია“ მე-9 კლ); დ სახელმწიფო ენაში: სასურველია, თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული იქნას შემოქმედებითი ტიპის
--	--	---



		დავალებები/აქტივობები გრძელვადიანი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახელმწიფო ენა: მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის გაზრდისთვის კურიკულუმის დაგეგმვისას სასურველია გათვალისწინებული იყოს სასწავლო მასალის დიფერენცირება და მრავალფეროვანი დამხმარე რესურსების გამოყენება; სასწავლო შედეგების მიღწევის მიზნით სასურველია საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს და სასწავლო პროცესში გამოყენებული თემატური კონტექსტმაგალითები და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. საზოგადოებრივ მეცნიერებები: ძირითად სასწავლო რესურსად სასურველია, მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელო (გამომცემლობა, გვერდები)- („ისტორია“, მე-7, „გეოგრაფია“ მე-7 კლ, „მოქალაქეობა“ მე-7, მე-9 კლ). მათემატიკა: მე-7 კლასის კურიკულუმში ყველა თემის გასწვრივ სასურველია, მიეთითოს რომელ სასწავლო რესურსს იყენებენ მათემატიკის სწავლებისას.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს მიზნებსა და ამოცანებს.	საზუნების მეტყველო მეცნიერებები: შემაჯამებელი სამუშაოების დავალებების პირობა სჯობს მეტად ორიენტირდეს მაღალ სააზროვნო უნარებზე, შემცირდეს



		ფაქტობრივი/დეკლარატიული ცოდნის გამოვლენაზე მიმართული კითხვები. სახელმწიფო ენა: საბაზო საფეხურზე განხორციელებული აქტივობები სასურველია შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის შეფასება); განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიკვეთოს გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით, კონკრეტულ ინდიკატორზე დაყრდნობით; სასურველია, სოლო ტაქსონომიის დონეების აღწერილობაც შეესაბამებოდეს კონკრეტული კომპლექსური დავალების სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს; სპორტი: სასურველია, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდურ გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: საგნობრივ კურიკულუმებთან თანდართული დაკვირვებადი სასწავლო შედეგების სტრუქტურის ტაქსონომია ზოგადი ხასიათისაა; სასურველია, დაკონკრეტდეს მოცემულ კომპლექსური ტიპის დავალებასთან მიმართებით; მათემატიკა:

		ობიექტურობის ხარისხის გასაზრდელად, უმჯობესია შეიქმნას მეტი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, მაგალითად, ისეთი, როგორიც წარმოადგენს მე-7 კლასის თემაში „განტოლება“.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე).	ბუნებისმეტყველება: სკოლის მიერ დამატებითი ელექტრონული რესურსები შესაძლოა, ინტეგრირდეს კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის თემაში, რაც კურიკულუმს გაამდიდრებს, გაზრდის ინკლუზიურობის ხარისხს და შესძენს უნიკალობას სასკოლო კურიკულუმს; საზოგადოებრივი მეცნიერებები: დამხმარე ინტერნეტრესურსების გამოყენების დროს სასურველია, მიეთითოს შესაბამისი ბმული („ისტორია“ მე-7, მე-8, მე-9 კლ)
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: დამხმარე ინტერნეტრესურსების გამოყენების დროს საჭიროა, მიეთითოს შესაბამისი ბმული („ისტორია“ მე-7, მე-8, მე-9 კლ)

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1..	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	მ სასურველია, საშუალო საფეხურზე ყველა კლასის კურიკულუმი ტექნიკურად მოწესრიგდეს;



	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	კურიკულუმებში საშუალო საფეხურზე შესაძლებელია, დაემატოს მათემატიკის ვებსაიტზე განთავსებული კომპლექსური ტიპის დავალებები https://math.ge/skolis-masala/ საზოგადოებრივი მეცნიერებები: გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების საკითხი განიხილებოდეს კონტექსტ-მაგალითზე დაფუძნებით („ისტორია“, მე-11, „საქართველოს ისტორია“ მე-10 კლ), ამ მხრივ ასევე საყურადღებოა მაგალითები შედარებისთვის, რაც იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას („ისტორია“, მე-10, მე-11, „საქართველოს ისტორია“ მე-11 კლ); კურიკულუმის შემუშავებისას მნიშვნელოვანია სტანდარტით შემოთავაზებული სავალდებულო თემების გათვალისწინება. კურიკულუმში სასურველია, გაიწეროს არა სახელმძღვანელოს თავის დასახელება, არამედ თემა („ისტორია“, მე-12, „მოქალაქეობა“ მე-10, მე-11 კლ), ასევე კურიკულუმის ჩარჩოში აისახოს ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავება („საქართველოს ისტორია“ მე-10, „ისტორია“ მე-11, „გეოგრაფია“ მე-10, მე-11 კლ); გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის ერთმანეთთან კორელაციაში იყოს („ისტორია“, მე-11 კლ); გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, „რომის პაპის მრჩეველის მოხსენება ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ“ („ისტორია“ მე-11, მე-12 კლ); სახელმწიფო ენა: სასურველია თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული იქნას შემოქმედებითი ტიპის
--	--	---



		დავალებები/აქტივობები გრძელვადიანი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. თემაში დაგეგმილ შემაჯამებელ სამუშაოში, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში: კომბინირებულ ტესტს წარმოადგენს და მიიღწევა რომელიმე გრძელვადიანი მიზანი, შესაძლებელია, გაიზარდოს შემოქმედებითი სამუშაოს მოცულობა დავალების იმგვარად შერჩევით, რომელიც მოსწავლეს მისცემს თავად შექმნას რაიმე პროდუქტი (მაგ. სქემა, ცხრილი, ამოცანის პირობა კითხვებით და ა.შ.)
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: თემაში დაგეგმილ შემაჯამებელ სამუშაოში შესაძლებელია, გაიზარდოს შემოქმედებითი სამუშაოს მოცულობა დავალების იმგვარად შერჩევით, რომ მოსწავლეს მიეცეს საშუალება თავად შექმნას რაიმე პროდუქტი (მაგ. სქემა, ცხრილი, ამოცანის პირობა კითხვებით და ა.შ.); კურიკულუმებში სჯობს, აისახოს თემების მიხედვით სავარაუდო საათობრივი განაწილება, შეიძლება მიეთითოს ე.წ. სარეზერვო საათებიც; საგნობრივ კურიკულუმში სასურველია გამოიკვეთოს მასწავლებლის მიერ მოდიფიცირებული აქტივობები, რაც საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო მოქნილს, სასკოლო კურიკულუმს კი შესძენს უნიკალობას; მათემატიკა:



		კურიკულუმებში საშუალო საფეხურზე შესაძლებელია დაემატოს მათემატიკის ვებსაიტზე განთავსებული კომპლექსური ტიპის დავალებები https://math.ge/skolis-masala/; საზოგადოებრივ მეცნიერებები: კურიკულუმის შემუშავებისას მნიშვნელოვანია სტანდარტით შემოთავაზებული სავალდებულო თემების გათვალისწინება. კურიკულუმში სასურველია, გაიწეროს არა სახელმძღვანელოს თავის დასახელება, არამედ თემა („ისტორია“, მე-12, „მოქალაქეობა“ მე-10, მე-11 კლ), ასევე კურიკულუმის ჩარჩოში სასურველია, აისახოს ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავება („საქართველოს ისტორია“ მე-10, „ისტორია“ მე-11, „გეოგრაფია“ მე-10, მე-11 კლ), გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის ერთმანეთთან კორელაციაში იყოს („ისტორია“, მე-11 კლ); გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, „რომის პაპის მრჩეველის მოხსენება ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ“ („ისტორია“ მე-11, მე-12 კლ) სახელმწიფო ენა: სასურველია თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული იქნას შემოქმედებითი ტიპის დავალებები/აქტივობები გრძელვადიანი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებულ რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურს უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	საზოგადოებრივი მეცნიერებები: ძირითად სასწავლო რესურსად სასურველია, მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელო (გამომცემლობა, გვერდები)- („ისტორია“ მე-11, მე-12 კლ);



	კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას;	სახელმწიფო ენა: სასწავლო შედეგების მიღწევის მიზნით სასურველია საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს და სასწავლო პროცესში გამოყენებული თემატური კონტექსტმაგალითები და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახელმწიფო ენა: მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის გაზრდისთვის კურიკულუმის დაგეგმვისას სასურველია გათვალისწინებული იყოს სასწავლო მასალის დიფერენცირება და მრავალფეროვანი დამხმარე რესურსების გამოყენება.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემის შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: შემაჯამებელი სამუშაოების დავალებების პირობა სჯობს მეტად ორიენტირდეს მაღალ სააზროვნო უნარებზე, შემცირდეს ფაქტობრივი/დეკლარატიული ცოდნის გამოვლენაზე მიმართული კითხვები. შემაჯამებელ დავალებაში მაქსიმალურად შემცირდეს არჩევითბოლოიანი დავალებები. სახელმწიფო ენა: საშუალო საფეხურზე განხორციელებული აქტივობები შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისას გამოიკვეთოს გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით, კონკრეტულ ინდიკატორზე დაყრდნობით.



		სასურველია, სოლო ტექსტუალური დონეების აღწერილობაც შეესაბამებოდეს კონკრეტული კომპლექსური დავალების სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს. მათემატიკა: მოსწავლის შეფასების სისტემა მათემატიკაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა არის ზოგადი. უმჯობესია ყველა თემისთვის, მასში შემავალი საკითხებისთვის შეიქმნას შეფასების რუბრიკები და წინასწარ გააცნონ ბავშვებს. მოსწავლემ უნდა იცოდეს შესასწავლი თემის ფარგლებში კონკრეტულად რაში შეაფასებს მასწავლებელი. სპორტი: სასურველია შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.1.1	კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე).	ბუნებისმეტყველება: სკოლის მიერ დამატებითი ელექტრონული რესურსები შესაძლოა, ინტეგრირდეს კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის თემაში, რაც კურიკულუმს გაამდიდრებს, გაზრდის ინკლუზიურობის ხარისხს და შესძენს უნიკალობას სასკოლო კურიკულუმს. საზოგადოებრივი მეცნიერებები: დამატებითი რესურსებში, „ინტერნეტ-რესურსები“, საჭიროა ბმულის მითითება („გეოგრაფია“, მე-10 კლ)

ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდურ გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში: საგნობრივ კურიკულუმებთან თანდართული დაკვირვებადი სასწავლო შედეგების სტრუქტურის ტაქსონომია ე წ, სოლო, ზოგადი ხასიათისაა, დააკონკრეტეთ მოცემულ კომპლექსური ტიპის დავალებასთან მიმართებით
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; (შესაძლოა არ შეივსო პირველად ავტორიზაციაზე).	ბუნებისმეტყველება: სკოლის მიერ დამატებითი ელექტრონული რესურსები შესაძლოა, ინტეგრირდეს კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის თემაში, რაც კურიკულუმს გაამდიდრებს, გაზრდის ინკლუზიურობის ხარისხს და შესძენს უნიკალობას სასკოლო კურიკულუმს; საზოგადოებრივ მეცნიერებები: დამატებითი რესურსებში, „ინტერნეტ-რესურსები“, საჭიროა ბმულის მითითება („გეოგრაფია“, მე-10 კლ)
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასწავლო რესურსების მიმართ მოთხოვნები შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ცალკე დოკუმენტად

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისი მისია და ხედვა. კერძოდ, მისიას წარმოადგენს შექმნას მოსწავლის საჭიროებაზე ორიენტირებული გარემო, რომელშიც თითოეული მოსწავლე გაიზარებს სწავლის პროცესს, როგორც საკუთარი ინტერესების მუდმივი განვითარების წინაპირობას. ხოლო ხედვას წარმოადგენს: ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოებისა წევრებისა და თემის მუდმივ ინფორმირებას, კანონმდებლობით განსაზღვრული ზოგადი განათლების პოლიტიკის ორიენტირებისა და სასკოლო ცხოვრების სიახლეების შესახებ. მიეცეთ სასკოლო ცხოვრებაში მიზნობრივი ჩართულობის შესაძლებლობა, რათა სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების თანამშრომლობა მიმართული იყოს მოსწავლეთა შესაძლებლობების რეალიზებისაკენ.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოაჩენს სკოლის როლს თემში. სკოლა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოებაში უსაფრთხოებასა და პიროვნულ განვითარებაზე და ქმნის სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც ვლინდება სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობითა და სხვადასხვა მრავალფეროვანი პროექტის განხორციელებით. მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშესაწყობად, მუდმივად ხდება მათი

ინიციატივების წახალისება წრეების სახით, საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებში ჩართვა; მხიარული სტარტების, ლიტერატურული საღამოების, საგნობრივი და სკოლის პროექტების ორგანიზება. სკოლის შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსი ორიენტირებულია უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფენ მორიგე მასწავლებლები, დარაჯი, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები მოსწავლეებს ესაუბრებიან თემებზე, როგორებიცაა ტოლერანტობა, ბუღინგი/კიბერბუღინგი, სხვადასხვა პროფესია, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სხვა. თავდაცვის სამინისტროს პროექტ „ჩემი ჯარის“ ფარგლებში სკოლაში განხორციელდა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტი. სკოლას დამტკიცებული აქვს სკოლის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი და განსაზღვრული ჰყავს პირი, რომელიც აკონტროლებს სკოლის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარებას. სკოლის შენობაში გამოკრულია თამბაქოს მოხმარების აკრძალვის ნიშნები და სკოლა ეწევა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას პროექტებითა და აქტივობებით. მაგალითად, სკოლის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი „არა თამბაქოს, ალკოჰოლსა და ნარკოტიკს!“, „ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელშია“. ხშირად ტარდება სპორტული აქტივობები ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას გააზრებული და ჩამოყალიბებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების, შემუშავების მექანიზმი. სტრატეგიული დაგეგმვა წარმოდგენილია, როგორც თანამონაწილეობითი პროცესი და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტების გაზიარებით. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმს, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას. მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე. შემუშავებული კითხვარის საშუალებით გამოკითხულია სასკოლო საზოგადოება. ჯგუფის მიერ შესწავლილია სასწავლო პროცესის მონაწილეთა მოსაზრებები და შეფასებები.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას დამტკიცებული აქვს სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების ეტაპები: სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის შემუშავებამდე სასკოლო საზოგადოების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზის საშუალებით მათი მოსაზრებების შესწავლა და გაზიარება; სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავება, დირექტორის მიერ განსახილველად და შესათანხმებლად სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენა; საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ კი პედაგოგიური საბჭოს მხრიდან მისი დამტკიცება. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მხრიდან სწორედ პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოსა და მშობელთა კრებების საშუალებით. დოკუმენტი გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესი მოიცავს გაზიარებისა და ხელმისაწვდომობის მექანიზმებს. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისა და შემუშავებული გეგმის განხორციელების პროცესში ახდენს ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რითაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას. გამჭვირვალობის პრინციპი ასახულია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები იკითხება როგორც სასკოლო სასწავლო, ისე სტრატეგიული განვითარების გეგმებში; საჯაროდაა ხელმისაწვდომი: ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე და გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია .

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოს, სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, რომლის თანახმადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სახელწოდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მისია და ხედვა;

სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავების დებულება; სოციო-

კულტურული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები და ბმულები;

თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი და პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება; შინაგანაწესი;

შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლისწესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება, რომლითაც სკოლა დაფუძნდა და ატარებს კანონით განსაზღვრულ სახელს.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვისა და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარების პროცესში.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა შვიდწლიანია. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და წარმოადგენს მისიისა და ხედვის რეალიზაციის გზას. სტრატეგიული მიზნები შეესაბამება სკოლის მისიას, ხოლო ამოცანები - სტრატეგიულ მიზნებს უკავშირდება. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ჯგუფმა დაადგინა სასკოლო საზოგადოების საჭიროებები და უზრუნველყო პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობა. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებამდე სკოლაში სპეციალური კითხვარების შევსებით მოხდა საჭიროებების გამოვლენა. სწორედ კითხვარების ანალიზისა და SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება. სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმისა და სამოქმედო გეგმის პროექტი.

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ჯგუფი, რომელსაც დაევალა სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის შედგენა 2024-2025 სასწავლო წლის დაწყებამდე, რომელიც გასაცნობად წარედგინება სასკოლო საზოგადოებას, ხოლო საბოლოო სახით ფორმირების შემდეგ დამტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმისა და სამოქმედო გეგმის პროექტი.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიზნები გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმის ამოცანებიდან და დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გაწერილია აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

სტრატეგიული გეგმის შემუშავების ჯგუფის შექმნის ბრძანება; 2023-2024

სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

სკოლის სტრუქტურა.

სტრატეგიული განვითარების გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს: სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში განხორციელდება ყოველ 3 წელიწადში, ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე; ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების, ამოცანის, აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ გაწერილი მეთოდოლოგიით, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გაიმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ყოველი სემესტრისა და წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესრულების შესაბამის მტკიცებულებებს. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსება მეთოდოლოგიის დამტკიცებული ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების, ამოცანის, აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გამართულ გაერთიანებულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით სკოლამ განსაზღვრა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებისთვის ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას ელექტრონული ფოსტა ან სოციალური ქსელი, ასევე საჯარო ღონისძიებები ან ბეჭდვითი მასალები.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის სტრატეგიული განვითარება წარმოდგენილია ციკლურ პროცესად. განვითარების ხედვა დაწყებულია დაგეგმვის ეტაპიდან, დაგეგმვის ეტაპზევეა გამოკვეთილი გეგმის შესრულების შეფასების კრიტერიუმები და ორიენტირები. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სკოლა შეადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც მოხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. SWOT ანალიზის

საფუძველზე განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამრიგად, განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სარგებლობს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტით, რომელშიც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების ფუნქცი-მოვალეობები. სკოლის მართვის დემოკრატიული მიდგომები დაცულია სკოლის ყველა სტრუქტურაში. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს: 1) დირექცია: დირექტორი და ბუღალტერი; 2) ადმინისტრაცია: საქმისმწარმოებელი და ბიბლიოთეკარი, ტექ პერსონალი; 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, ექთანი. პედაგოგიური საბჭო: 19 მასწავლებელი და 1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. სკოლაში ფუნქციონირებს 6 საგნობრივი კათედრა, სამეურვეო საბჭო. დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარების ჯგუფი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, თამბაქოს მოხმარების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი, ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სასწავლო და საადმინისტრაციო პროცესსა და მატერიალურ-ტექნიკურ საჭიროებებს მონიტორინგს უწევს დირექტორი. სკოლის მასწავლებლებისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის კონკურსის წესით მისაღებად დირექტორი ქმნის შესაბამის საკონკურსო კომისიებს, რომლებიც კომპლექტდება სკოლის შიდა კადრებით და კანონმდებლობით განსაზღვრული წევრებით. კომისიების წევრები მუშაობენ კოორდინირებულად. საჭიროების შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია, რომელიც საჩივრის განხილვისას ხელმძღვანელობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და შესაბამისი კონკურსის წესით/დებულებით.

სკოლას აქვს შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლამ წარმოადგინა დასაქმებული პირების შრომითი ხელშეკრულები. გასაუბრებიდან დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, სკოლის მიერ მიზნობრივად და ეფექტურად გადანაწილებით. ფუნქციები გადანაწილებულია თითოეული თანამშრომლის ცოდნის, უნარებისა და კვალიფიკაციის მიხედვით. სკოლის სამოქმედო გეგმაში მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე საჭირო პასუხისმგებელი პირები სწორედ მათზე დაკისრებული ფუნქციების შესაბამისადაა განსაზღვრული. სკოლის სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში, ისინი სხდომებზე წარადგენენ რეკომენდაციებს, იღებენ გადაწყვეტილებებს უფლებამოსილების ფარგლებში. დემოკრატიული სასკოლო კულტურის ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სასკოლო კურიკულუმების შემუშავების პროცესში გუნდური პასუხისმგებლობით. სკოლის თანამშრომლები განიხილავენ და აჯამებენ მიმდინარე პროცესებს. წლის დასაწყისში სტრუქტურული ერთეულები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრა) გეგმავენ წლის განმავლობაში გასატარებელ ღონისძიებებს, ხოლო წლის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრუქტურა;დანართი N12 -

საშტატო განრიგი;

კათედრის დებულება;

შრომითი ხელშეკრულებები;

თანამდებობრივი ინსტრუქციები

ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება და დებულება;სამედიცინო

დახმარების აღმოჩენის წესი;

2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;დანართი მრჩეველთა

საბჭოს შექმნის ბრძანება;

სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების ოქმები;დანართი

სემესტრული/წლიური ანგარიშები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ადამიანური რესურსების მართვის პროცესები მოიცავს როგორც მასწავლებლების, ასევე სხვა ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მართვას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მათი უფლებები და მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმებითა და პოლიტიკის ამოცანებით იკვეთება სკოლის პრევენციული და ინტერვენციული პროცესები. მაგალითად, დოკუმენტში გაწერილი პერსონალის მიღება კონკურსის წესით, შემდეგ მისი ადაპტაციისთვის აქტივობების განხორციელება ხდება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში. ასევე სკოლის სტრუქტურული ერთეულები (დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო...) და მათი სამუშაო პროცესების გაწერა უზრუნველყოფს სკოლაში პერსონალის მართვას სკოლის საჭიროებაზე დაფუძნებით, რომელიც პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკით იმართება .

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლაში დასაქმებულებზე გახსნილია პირადი საქმე, პირად საქმეში ინახება შემდეგი დოკუმენტები:განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი,პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, სივი, ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ, ფოტოსურათი; ყველა მასწავლებელს აქვს ცნობები ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ; სერთიფიკატები. მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია სტატუსის მიხედვით; კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანტური ადგილის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მაგალითად, ბოლოს სკოლამ კონკურსი ჩაატარა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის შესარჩევად. ამისათვის, დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge- განათავსა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შექმნა საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისიამ განაცხადების მიღების ვადის გასვლის შემდეგ შეარჩია ის კანდიდატები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს პირველი ეტაპისთვის. მეორე ეტაპზე გადასულ შერჩეულ კანდიდატებთან კომისიამ ჩაატარა გასაუბრება და შეამოწმა წინასწარ განსაზღვრული შეფასების სქემით,ბოლო ეტაპზე კომისიამ შერჩეული კანდიდატი წარუდგინა დირექტორს, რომელთანაც კანონდებლობის შესაბამისად გაფორმდა ხელშეკრულება. თითოეულ ეტაპზე საკონკურსო კომისიამ შეადგინა ოქმი.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.



4. სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს აქვთ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კვალიფიკაცია. სკოლაში დასაქმებულია 18 უფროსი და 1 მოწვეული მასწავლებელი. საჭიროების შემთხვევაში, დასაქმებულის დროებით ჩანაცვლების მიზნით სკოლა ხელშეკრულებას აფორმებს შემცვლელ მასწავლებელთან ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად. მასწავლებლების კვალიფიკაციასთან შესაბამისობა დგინდება თითოეული მასწავლებლის პირადი საქმით და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად განხორციელებული საქმიანობის საფუძველზე.

სკოლამ გამოსწორა ხარვეზი: სკოლამ შესაბამისობის გეგმის თანახმად, 30.08.2024წ.-10.09.2024წ. პერიოდში უზრუნველყო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიღება. სკოლამ გადმოაგზავნა შესაბამისი მტკიცებულებები.

ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე: საგნობრივმა კათედრებმა ერთმანეთის დახმარებით შეიმუშავეს კურიკულუმები; კათედრებმა შექმნეს მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, შეარჩიეს სასწავლო რესურსები; პედაგოგიურ საბჭოზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის განხილვა, სახელმძღვანელოების ნუსხის დამტკიცება, სკოლის ფილოსოფიის შემუშავება და დამტკიცება; სამოქმედო გეგმის დამტკიცება... სამეურვეო საბჭო, რომელიც არის კოლეგიალური ორგანო, აქტიურად ასრულებს თავის ფუნქცია-მოვალეობებს.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი: წახალისების სისტემა გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით, რომლის თანახმადაც, წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით, წახალისების თაობაზე საგნობრივი კათედრების გაერთიანებები სამსახურეობრივი ბარათით მიმართავენ დირექტორს წახალისების წინაპირობების არსებობის თაობაზე, რის საფუძველზეც გამოიცემა დირექტორის ბრძანება. შინაგანაწესის მიხედვით, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მაღლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური

უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის

დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

თანამდებობრივი ინსტრუქციები;

შინაგანაწესი;

შრომითი ხელშეკრულებები;

პედაგოგიური საბჭოს ოქმი შინაგანაწესის გაცნობაზე და გაცნობის აქტი;

ჩანაცვლების დროს საათების გადანაწილების ბრძანება;

მასწავლებლის კონკურსის მასალები;

თანამშრომელთა პირადი საქმეები;

eSchool-ის ბაზიდან იმპორტირებული თანამშრომლების სია;

სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

2024 წლის ბიუჯეტი;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე



1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დამტკიცებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გაწერილია საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რომელიც გამჭვირვალე, მკაფიო და ნათელია. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას, სკოლაში არსებული თანამდებობების სტრუქტურულ ერთეულებში გაერთიანებას, პოზიციების შესაბამისი სამუშაო აღწერილობების შემუშავებას და მათი განახლების უზრუნველყოფას, დირექციის შეხვედრებზე ადამიანური რესურსების მართვის მეთოდების ეფექტიანობის რეგულარულ განხილვას, დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით წახალისების სისტემის აქტიურ გამოყენებას. სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები: • რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს? • რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე? სკოლა საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმად ძირითადად იყენებს გაკვეთილებზე დასწრებას, პრობლემების იდენტიფიცირებას, რჩევების მიცემას, განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა, მასწავლებლის სკოლაში მიღების წესის შემუშავება, მასწავლებლისთვის ტრენინგების ჩატარება. ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროების მიხედვით ხდება მასწავლებლების მიერ სასურველი ტრენინგის შერჩევა, რომლის გავლაშიც დირექცია ასრულებს მხარდამჭერის როლს. სკოლა მასწავლებლებს უზიარებს მეთოდურ სახელმძღვანელოებს. სკოლას არ აქვს შემუშავებული პერსონალის განვითარების საჭიროებებზე შემუშავებული გეგმა. ამ ეტაპზე სკოლა გეგმავს შეიმუშაოს პერსონალის განვითარების შემუშავების გეგმა. სკოლამ ასევე სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრისას გაითვალისწინა ანონიმური გამოკითხვის ანალიზის შედეგები.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. კარიერული წინსვლის შესაძლებლობა ყველა მასწავლებლისთვის თანაბრადაა ხელმისაწვდომი. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელდა გაკვეთილებზე დასწრება და შეფასება.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ახალი თანამშრომლის მიღებისას სკოლაში ადაპტაციის წესი, განსაზღვრული ჰყავს პროცესზე პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სკოლაში ახალმიღებული კადრს ადაპტაციაში ეხმარება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის კათედრა, რომელიც ეხმარება ახალ კადრს, გაეცნოს სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რაც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სასკოლო გარემოსთან სწრაფ ადაპტაციას. სკოლის საინფორმაციო მენეჯერი ეხმარება ახალ კადრს Eflows-სა და eSchool-ის ბაზებში პროფილის გახსნაში და უხსნის მას სარგებლობის წესებს. სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდახმარების, ურთიერთდასწრების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა .

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმი. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი. მაგალითიად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა დააყენა ინიციატივა „რომ ჩაეტარებინა ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრების მიზნით სასკოლო ფესტივალი „სკოლის დირექციამ აქტიურად ითანამშრომლა მასწავლებელთან და სხვადასხვა თანამშრომელთან და დაეხმარა მას ინიციატივის განხორციელებაში. ასევე მასწავლებლების ინიციატივით მოეწყო შემეცნებითი ექსკურსიები რეგიონის თეატრებში. გამოკითხვის ანალიზის შედეგად დაფიქსირდა, რომ მასწავლებლები გეგმავენ რიგი პროექტების განხორციელებას, რომელთა მხარდაჭერასაც სკოლა უზრუნველყოფს მომავალი სასწავლო წლიდან. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, ასევე გამოიკვეთა პროფესიული განვითარების მიზნით მასწავლებლების ინიციატივა ტრენინგებში ჩართვასთან დაკავშირებით. სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი განვითარების გეგმები ითვალისწინებს პროფესიული განვითარების საჭიროებას და აღნიშნულის გათვალისწინება იგეგმება სკოლის ბიუჯეტშიც.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის ოქმები;

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება და ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივ სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებისა და მათი განვითარების ხელშეწყობას. ყოველივე ამისათვის სკოლა იყენებს შიდა შეფასების მიდგომას: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. სკოლა ზრუნავს სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მატერიალური რესურსის მუდმივ განვითარებაზე: სკოლის თითოეული თანამშრომელი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს იმ მატერიალური და სასწავლო რესურსის ჩამონათვალს, რომელიც საჭიროა სკოლაში უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად. სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით, სკოლის მასწავლებლები გეგმავენ საგნობრივ კურიკულუმებს, ახორციელებენ, შემდეგ იაზრებენ რა გამოუვიდათ, რა უნდა შეცვალონ და მომდევნო წლის კურიკულუმს ისე შეიმუშავებენ.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული შიდა სასკოლო დოკუმენტების მიხედვით. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლის შინაგანაწესში, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, საქმისწარმოების წესში, თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების პროექტებში და სხვა დოკუმენტებში. დოკუმენტებში მკაფიოდ და ნათლადაა გაწერილი უფლებამოსილი და პასუხისმგებელი პირები, ნაბიჯ-ნაბიჯ განსახორციელებელი საქმიანობა, პროცესების განხორციელების ეტაპები. სასკოლო დოკუმენტები სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრს, დაკავებული პოზიციის შესაბამისად, აკისრებს გარკვეულ ფუნქციებს, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების გადანაწილებას როგორც მმართველობით, ასევე ძირითად და დამხმარე პროცესებზე და ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. შიდა სასკოლო დოკუმენტაციით განსაზღვრული რეგულაციები ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. თითოეული დოკუმენტის სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებას და საჯაროდ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სკოლა.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. თანამშრომლების, მოსწავლეების/შშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვა რეგულირდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი გასაჩივრების პროცედურები და დაინტერესებულ მხარეს სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის საჭირო ნაბიჯების შესახებ, მაგალითად, რა ფორმით, და ვის წარედგინება საჩივარი, რა სავალდებულო ინფორმაციას უნდა შეიცავდეს საჩივარი, ვის ევალება და რა ვადებში უნდა მოხდეს საჩივრის

განხილვა და ა. შ.სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი. დისციპლინური წარმოება წარმართულია დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები. სკოლის საზოგადოების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლა თავისი კომპეტენციის ფარგლებში სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის შესაბამის ადრესატებს, კერძოდ, სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი - 112. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვას.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე, სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დირექტორი ან დისციპლინური კომიტეტი. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშეკრულების პირობების გაცნობით, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობით ადმინისტრაციისა და დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. სკოლაში თითოეული მოსწავლე უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებით, ასევე სასკოლო სახელმძღვანელოებით, რომელზეც მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულება. სკოლაში ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების წესი. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელშიც გაწერილია რისი უფლება აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებს და რა პირობებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

თანამდებობრივი ინსტრუქციები;

დამრიგებლების განსაზღვრის ბრძანება;
დამრიგებლის მუშაობის დებულება;
საქმისწარმოების წესი;
შინაგანაწესი;
განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
მშობელთან ურთიერთობის დებულება ;
ბიბლიოთეკის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი და დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართვას სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში. სასკოლო პროცესების განხორციელებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სკოლის დირექცია აქტიურად უწყობს ხელს. ხშირად იმართება ღია კარის დღეები, შიდა სპორტული შეჯიბრებები, ფილმების ჩვენება, საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები, სამოქალაქო და ბუნებისდაცვითი სხვა ღონისძიებები. სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს (ეცნობიან ხელშეკრულების გაფორმების დროს) აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმის კონკრეტულ ნაწილებს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი და ინდივიდუალური გაკვეთილებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.



2.სკოლაში საზოგადოების ჩართულობის ხარისხის ზრდისა და კოლეგიალური ორგანოების ქმედუნარიანობისთვის ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. შემუშავებულია თითოეული რგოლის დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი ფუნქციები, არჩევის წესი, ფუნქციონირება, უფლებამოსილებები და ა.შ.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მშობელთა კრების ოქმები;

დამრიგებლის მუშაობის მიზნები;

დისციპლინური კომიტეტის არჩევაზე სამეურვეო საბჭოს ოქმი;

მრჩეველთა საბჭოს ოქმი სემესტრისა და წლის შეჯამებაზე.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის

ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში, სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განთავსებულია სახანძრო აღჭურვილობა, ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, სკოლა შემოღობილია და შენობას გარეშე პირთა გადაადგილებისგან იცავს დარაჯი. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ნებისმიერი პირის ფიზიკური უსაფრთხოება. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. სკოლის შენობა აღჭურვილია შიდა 6 და ღია პერიმეტრის 6 ვიდეო-სათვალთვალო კამერით. სკოლის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უზრუნველყოფს სკოლის ყველა დერეფნის, შესასვლელის (ფოიე) ვიდეოკონტროლს და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ხოლო სკოლის გარე პერიმეტრზე (გასასვლელში) განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უზრუნველყოფს სკოლის გარე პერიმეტრის, ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. სკოლაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოება. სართულებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლის ტერიტორიაზე არსებული ელექტროგაყვანილობა არის დაცულ მდგომარეობაში. სკოლას განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელი და სახანძრო



ინვენტარის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. აღნიშნული გეგმა შეესაბამება "საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადგინა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ;

სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. გეგმის მიხედვით, 21.05.2024-21.05.2025 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღებას.

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად შესაბამისია.

2. სკოლა ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით“ გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების მედიკამენტებით და შესაბამისი რესურსებით. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა დაცულია. სკოლას ჰყავს ექთანი. მისი ვალდებულებაა სკოლის მოსწავლეების პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ექთანი აფასებს ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმეს და იმის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახების შესახებ. დროულად აწვდის ინფორმაციას მშობელსა და დირექციას მოსწავლის მდგომარეობის შესახებ; საგაკვეთილი პროცესიდან გათავისუფლების გამო (საჭიროების შემთხვევაში). სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებით მიმართვებს აღრიცხავს ჟურნალსა და სააღრიცხვო ფორმაში.

ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. სკოლას შიდა რეგულაციებით დამტკიცებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი“; „მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი“; „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი „სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესი პასუხისმგებელ პირთან ერთად“ სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით სკოლა დისციპლინური წარმოების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ზომებს. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სახალხო დამცველის, 112-ის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის და მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ნომერი, რომელსაც შეუძლია მიმართოს ყველა მოსწავლე თუ თანამშრომელმა. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად კლასის

დამრიგებლები აქტიურად მუშაობენ მასწავლებლებთან, აწყობენ საინფორმაციო კამპანიებს. სკოლას ჰყავს ასევე ორი დარაჯი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზების შესახებ ერთიან ანგარიშს, მასზე დაყრდნობით შეიმუშავებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის; ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს და ა. შ. ამასთან სკოლა აღჭურვილია სამეთვალყურეო კამერებით როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები და ამ ინსტრუქციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის თანამშრომლები იცნობენ ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის წარმოშობის გარემოებებსა და განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლის ინფრასტრუქტურა, დიდი, ნათელი საკლასო ოთახები, ეზო, აივნები და დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. აქტივობები იგეგმება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური უსაფრთხოება. ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში განსაზღვრულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვასა და სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც აკონტროლებს სკოლაში არსებული სამეურნეო საქონლის მარაგებს და ადგენს შევსების საჭიროებას ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში თვალშისაცემად იგრძნობოდა სისუფთავე და წესრიგი. სკოლის საპირფაროებში ზედმიწევნით დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ემსახურება 2 დამლაგებელი, სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს „სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N308/ნ ბრძანების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია

6. სკოლას განსაზღვრული აქვს არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ: განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მონაცემებზე, განსაზღვრულია მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე წვდომაზე, სკოლაში დამუშავებული მონაცემების

წვდომაზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების, მშობლების, თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე უფლებამოსილი პირები. ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია

7. სკოლას დირექტორის ბრძანებით აქვს დამტკიცებული ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი; აქვს აღებული ვალდებულება, დაიცვას მის ხელთ არსებული პერსონალური მონაცემები, როგორც ფიზიკური სახით არსებული, ისე ელექტრონული ფორმით. საქმისმწარმოებელს და დირექტორს აქვთ ინდივიდუალური პაროლი ელექტრონულ სისტემაში მუშაობის;

სკოლამ გამოასწორა ხარვეზი: 1. სკოლამ შესაბამისობის გეგმის თანახმად, 30.08.2024წ.-10.09.2024წ. პერიოდში უზრუნველყო საქმისმწარმოებლისთვის ცალკე სამუშაო ოთახის გამოყოფა; სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისი მტკიცებულებები; 2. სკოლამ შესაბამისობის გეგმის თანახმად, 30.08.2024წ.-10.09.2024წ. პერიოდში უზრუნველყო ვიდეოსათავსოთვალთ კამერების მონიტორების იზოლირებულად მოწყობა; სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისი მტკიცებულებები;

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია.

8. სკოლის დირექტორი სასწავლო წლის ბოლოს სასკოლო საზოგადოებას წარმოუდგენს უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ანგარიშს. სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების ეფექტური გზები.

ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



შინაგანაწესი;

საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება;

სახანძრო უსაფრთხოებაზე და სახანძრო ინვენტარის მოვლა-შენახვაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;

საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;

უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის ბრძანება;

მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და ოქმები;

რეფერირების ინსტრუქცია და რეფერირებაზე უფლებამოსილი პირის ბრძანება;

თანამდებობრივი ინსტრუქციები;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;

მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

თანხმობის ხელწერილი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;

პასუხისმგებელი პირის ანგარიში პერსონალური მონაცემების დაცვაზე.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას



1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს -19673- კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1145,14 კვ.მ შენობა-ნაგებობა. სკოლის შენობა 2- სართულიანია. სკოლის შენობაში განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, საკლასო ოთახი- 12, სამედიცინო კაბინეტი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, დარაჯის ოთახი, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას აქვს შიდა ეზო. სკოლას აქვს ლიფტი. მოსწავლეებს ემსახურება ავტობუსი. სამასწავლებლო აღჭურვილია მაგიდებით, კარადებით, კომპიუტერებით, პრინტერით. სააქტო დარბაზში არის პროექტორი და სკამები. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით (11 კომპიუტერი) და პროექტორით. სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი: კალათბურთის და ფრენბურთის ბადეები, სატანვარჯიშო კედელი. სკოლას აქვს მუსიკალური დინამიკები, რომელთა გამოყენება ხდება სხვადასხვა ღონისძიებების დროს. სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. პირველ სართულზე განთავსებულია გოგონების, ვაჟების სველი წერტილები (მათ შორის, გოგონების სველი წერტილები 1 ერთეული, ვაჟების - 1 ერთეული), 1 სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას აქვს სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებისა და საკანცელარიო ნივთების მარაგი, ასევე სასწავლო რესურსები. სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, ელექტროენერგია, ცენტრალური გათბობა, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელი წყალი, საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია; მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის განხორციელების დროს იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიებს, მხოლოდ ელექტრონული რესურსით სარგებლობა ვერ ჩაანაცვლებს ემპირიულ დაკვირვებას და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას. სკოლას მოწყობილი აქვს კაბინეტური სისტემა, არსებობს საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რითაც მოსწავლეები სარგებლობენ, თუმცა კაბინეტში არ არის ქიმიური ჭურჭელი, რეაქტივები, გამწოვი კარადა, ფიზიკის შესწავლისთვის საჭირო ხელსაწყოები, ბიოლოგიის შესწავლისათვის საჭირო მულაჟები, მოდელები. პრობლემის გადასაწყვეტად სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სამტრედიის N2 საჯარო სკოლასთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების



მასწავლებლებს ჩატარებული აქვს ამ სკოლის რესურსების ბაზაზე გაკვეთილებიც, თუმცა, ეს ვერ ხსნის სკოლის საკუთარი ლაბორატორიით და რესურსებით აღჭურვის

აუცილებლობას.

სკოლაში წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, 30.08.2024-30.08.2025 პერიოდში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა;

ინდიკატორი 3.5.1.1 მეტწილად შესაბამისია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა დასაქმებულების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობებს, მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს. აღნიშნული წესში აღწერილია კომპიუტერული კლასის, სპორტული ინფრასტრუქტურის, მუსიკის კაბინეტის, რესურსოთახის, უცხოური ენების კაბინეტისა და სკოლის ბიბლიოთეკის გამოყენების წესები. ასევე, მატერიალური რესურსისა და სასკოლო ინვენტარის დაზიანების დროს ზარალის ანაზღაურების პირობები. სკოლას შემუშავებული აქვს საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობის გრაფიკი და სამუშაო დღის რეჟიმი, რომლებიც გამოკრულია შესაბამის ადგილებში.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკის, მასში არსებული რესურსების გამოყენებისა და სარგებლობის წესებს და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. გატანილი წიგნის დაბრუნების ვადის დადგომისთანავე, მკითხველი ვალდებულია დააბრუნოს ლიტერატურა ბიბლიოთეკაში; იშვიათი წიგნები, ალბომები, დოკუმენტები, რომლებიც მხოლოდ ერთი ეგზემპლარით არის წარმოდგენილი ბიბლიოთეკაში სახლში წასაღებად არ გაიცემა;

სკოლის საბიბლიოთეკო საქმის კოორდინირებას ახორციელებს სკოლის ბიბლიოთეკარი მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად. სკოლის ბიბლიოთეკარი აწესრიგებს წიგნად ფონდს, ახდენს საბიბლიოთეკო ფონდის კატალოგიზაციას; ზრუნავს სკოლის ბიბლიოთეკაში არსებულ რესურსებზე; აწარმოებს წიგნების გატანისა და დაბრუნების აღრიცხვას; უზრუნველყოფს მკითხველთა მომსახურებას ხარისხიანად, სრულად და დროულად; აცნობს მკითხველს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს; შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება; შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლის წიგნადი ფონდი დამუშავებულია და გატარებულია ჟურნალში წესების დაცვით.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო პირობები. სკოლა ქმნის ინკლუზიურ გარემოს როგორც ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით, ასევე შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფით. დამონტაჟებულია ლიფტი, რაც უზრუნველყოფს ყველა საჭირო სივრცით სარგებლობას. რესურსოთახი აღჭურვილია ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით. სკოლის ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ეზო ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეთათვის. სკოლის დირექცია მუდმივად ზრუნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის საჭირო ყველა ტიპის რესურსის შევსებასა და განახლებაზე.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.



5. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. კერძოდ, სკოლას აქვს კეთილმოწყობილი შიდა ეზო,

რომელშიც დამონტაჟებულია განათება და მოსასვენებელი სკამები. ეზოში სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს ეწყობა ღონისძიებები, პირველკლასელთა მიღება საზეიმოდ და მე-12 კლასელების ბოლო ზარის ღონისძიებები. ეზოში ასევე იმართება სპორტული აქტივობები და შეჯიბრებები, როგორებიცაა „მხიარული სტარტები“, საფეხბურთო მატჩები, კალათბურთის მატჩები და თამაშები მაგიდის ჩოგბურთში. მოსწავლეებს აქვთ საშუალება განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მათთვის საინტერესო საკითხებზე იმსჯელონ სკოლის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი. მოსწავლეებს შესაბამისი საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში ეხმარება სკოლის ბიბლიოთეკარი.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

საინვენტარო აღწერილობის აქტები;

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძღვანელოების გადაცემის თაობაზე;

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას



1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფლობს კომპიუტერულ ლაბორატორიას, რომელიც აღჭურვილია 10 კომპიუტერით. სკოლას აქვს 11 პერსონალური და 3 პორტატული კომპიუტერი. სკოლას აქვს 1 პროექტორი და 1 პრინტერი. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერით, რომელსაც აქტიურად იყენებენ მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებლები იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას, ასევე სკოლის პროექტორებს აქტიურად იყენებენ ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას. სკოლას ემსახურება კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი, რომელიც საჭიროებისამებრ ეხმარება სკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში. ხოლო კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლა ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენ მასწავლებელსა და მოსწავლეს არ აქვს სახლში ელექტრონული კომუნიკაციისთვის რაიმე სახის ტექნიკა. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვით დადგენილია სასკოლო სივრცეში საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში შემუშავებულია განრიგი და სარგებლობის წესი.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):



მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები;

ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. სკოლაში დასაქმებულია საქმისწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას დადგენილი საქმისწარმოების ინსტრუქციის მიხედვით. სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eflow) მეშვეობით. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალი, საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები, რომელიც ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური აქტით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები, სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, ჟურნალები აკინძულია. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - Eflow- მეშვეობით, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების რეგისტრაცია, ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების და ასე შემდეგ. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი



წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს

სისტემის მეშვეობით, Eflow-ს სისტემასთან კავშირით. eSchool-ის ელექტრონულ ბაზაში ასევე შეყვანილია ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ, ამასთანავე იგივე ხდება სამეურვეო საბჭოს წევრების ცვლილების რეგისტრაცია. ინფორმაციისა და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა - chkhenishi@mes.gov.ge. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა და ინდივიდუალური მომხმარებლის გვერდი eflow-ს ელექტრონულ სისტემაში, საიდანაც მათ აქვთ შესაძლებლობა სკოლის დირექციას მიმართონ სამსახურეობრივი ბარათებითა და განცხადებებით. სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია. პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, სკოლას სრულყოფილად ასახავს ინფორმაციებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (თანამშრომელთა მონაცემები, მასწავლებელთა სტატუსები, მოსწავლეთა მონაცემები და ა.შ).

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა კანონით გათვალისწინებულ ვადებში აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან ანგარიშვალდებულება, რომელიც მოიცავს ფინანსურ და ვერბალურ ნაწილს. სკოლის სამეურვეო საბჭოს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში – ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ; ეს ანგარიშები უმაღლეს სტრუქტურებამდე მიდის ადგილობრივი სტრუქტურების გავლით.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი;

eSchool.emis.ge-ს, Eflow-ს, procurement.gov.ge -ს,

ელ.ფოსტის მისამართი: chkhenishi@mes.gov.ge

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;

საჯარო ინფორმაციის ანგარიშზე წერილები;

10 დეკემბრის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ;

ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელშიც გაწერილია ვიზიტორებისა და შიდა შეხვედრების, გარე შეხვედრებისა და აქტივობებში ჩართულობის, მოტივაციის ამაღლებისა და ინიციატივების ხელშეწყობის, შიდა და გარე კომუნიკაციის (მოსწავლეებთან, მშობლებთან...) აქტივობები, მექანიზმები და სხვა ძირითადი საკითხები. გარდა აღნიშნულისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის გამოყენებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება: საინფორმაციო შეხვედრები (როგორც პირისპირ რეჟიმში, ასევე ონლაინ პლატფორმაზე), ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო ზარი, სატელეფონო შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა და სოციალურ ქსელი. სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლას აქვს მასწავლებელთა მესენჯერის ჯგუფები, რომლებიც საუკეთესო საშუალებაა სიახლეების გასაცნობად და სწრაფი კომუნიკაციისთვის. სკოლას აქვს ვებ გვერდი.

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია.



2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ

განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და

უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელიც პასუხს აგებს ინფორმაციის განთავსებაზე მის ვალიდურობასა და უტყუარობაზე. დირექცია თავის მხრივ ეყრდნობა ამ ინფორმაციის დამადასტურებელ მასალას, იქნება ეს ფოტოები, სიგელები, დიპლომები თუ სხვა. სკოლის სოციალურ ქსელში ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების, წარმატებისა და მიღწევების შესახებ. სკოლის საკომუნიკაციო არხებს ამ ეტაპზე წარმოადგენს სოციალური ქსელი (facebook), სხვადასხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში, ელექტრონული ფოსტა.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლამ სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირი შეიძლება მიიღოს დამრიგებლების მშობლებთან კომუნიკაციის მეშვეობით, კრებების მეშვეობით, facebook ჯგუფებიდან, ანონიმური კითხვარებიდან, მშობელთა კომიტეტის მეშვეობით და სხვადასხვა გზით. შესაბამისი საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაციას სკოლა იყენებს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ განახორციელა შეხვედრა მშობლებთან წლიურ შედეგებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში სწავლების ენა არის ქართული. სკოლას ვებ-გვერდი, რომელზეც ინფორმაცია განათავსებულია ინფორმაციას ქართულ ენაზე. შესახებ. ვებ გვერდი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლის ვებ გვერდია- [ჩხენიშის საჯარო სკოლის ვებ-გვერდი](#)

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი სკოლის შესახებ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიუჯეტი. ვებ გვერდზე ჯერ არ არის წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ანგარიშები.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სოციალური ქსელის ბმული;

ვებ გვერდი

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბიუჯეტს, ყოველი წლის დეკემბრის ბოლომდე, სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. ბიუჯეტი იგეგმება რეალური გათვლებისა და გაანგარიშებების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას სკოლა ითვალისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, წინა წლის გამოცდილებას და საბიუჯეტო კალენდარს. სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებლის მიერ თანხების განკარგვა მიმდინარეობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის, რესურსების შეძენასა და კომუნალურ გადასახადებზე. თანხა ასევე გათვალისწინებულია საოფისე ხარჯებზე. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ხმარდება ყველა იმ საჭირო საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების დაგეგმვას, ცვლილებას, განკარგვასა და მონიტორინგს. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები ვაჩერული დაფინანსებიდან, სამინისტროს მიერ მიზნობრივი დახმარების პროგრამებიდან და სხვა. სკოლას დამტკიცებული აქვს შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავების წესი, რომლის თანახმადაც, ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მართვის მიზნით, სკოლის ბიუჯეტზე დაყრდნობით მუშავდება სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების კვლევის ეტაპზე აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექტორი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, შესასყიდი ობიექტის



საჭიროება და მოცულობა განისაზღვრება მინიმუმ ბოლო სამი წლის განმავლობაში სკოლის ფაქტობრივი ხარჯის ანალიზისა და საბაზრო ღირებულებების

ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამასთან, შესასყიდი ობიექტების საჭიროებისა და მოცულობების განსაზღვრისას ასევე, გათვალისწინებულია სკოლაში არსებული მარაგებიც. შესყიდვების წლიურ გეგმაში ფასების გათვალისწინებამდე, ასევე კონკრეტული შესყიდვის განხორციელებამდე, სკოლა ატარებს ბაზრის კვლევას შესაბამისი პასუხისმგებელი პირის საშუალებით. საჭიროებისა და მოცულობების კვლევის შედეგად ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხდება შესყიდვების წლიური გეგმის ცვლილება. სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რომელიც დგება გასული პერიოდის ანალიზის საფუძველზე.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ფაქტობრივი ბიუჯეტი;

ბიუჯეტის დამტკიცების ოქმი;

ბიუჯეტის ცვლილების ოქმი;

შესყიდვების წლიური გეგმა და დამტკიცების ბრძანება;

შესყიდვების წლიური გეგმის ცვლილების ბრძანება;

ფინანსური საქმიანობის შესახებ დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა გამოყენებითაც ხდება კანონით გათვალისწინებული უფლებების უზრუნველყოფა. სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მასში გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, განცხადების/ საჩივრის განხილვის წესი, სკოლაში ჩაცმულობის წესი, წახალისების ფორმები, დისციპლინური წარმოების წესი და ა.შ.

სკოლას დამტკიცებული აქვს „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ყველა ფორმის ძალადობისაგან ბავშვის დაცვას; დამყარებულია კონსტიტუციაზე, „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ“ გაეროს კონვენციაზე და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებზე. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს რეფერირების პროცედურები და დანიშნულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების პროცესი, ფუნქციონირებს ისე ჯგუფი, შემუშავებული აქვთ სავალდებულო მეთოდური, საგნობრივი დოკუმენტაცია, აქვთ მონიტორინგის მექანიზმები. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებას. შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით არის წარმოდგენილი განცხადების / საჩივრის განხილვის მექანიზმი, რომელიც შესაბამის პროცედურულ საკითხებს მოიცავს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც დისციპლინური კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოსა და სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილი ჰყავს წევრები.

ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს მოსწავლის დისკრიმინაციიდან დაცვის მექანიზმები, უზრუნველყოფილია მათი მონაწილეობა თვითმმართველობაში, ფუნქციონირებს დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების მექანიზმები

ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, გამოკრულია სკოლის დერეფანში და უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა; სკოლის მიერ წარმოდგენილი, მშობელსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ცხადი ხდება, რომ მშობელი იცნობს სკოლის შინაგანაწესს (ადასტურებს ხელმოწერით). გარდა ამისა, „სადამრიგებლო პროგრამის“ და „დამრიგებლისა და სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი კონცეფციის მიხედვით“ დამრიგებლის მოვალეობაში შედის მოსწავლისა და მისი მშობლებისათვის შინაგანაწესის გაცნობა. სკოლაში საჯაროდ არის განთავსებული საკონტაქტო ინფორმაცია იმ პირებისა და ორგანოების შესახებ, რომლებმაც უნდა მოახდინონ რეაგირება მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში. სკოლის შიდა სივრცეში, საჯაროდ გამოქვეყნებულია „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“ და ხელმისაწვდომი არის დაინტერესებული პირებისათვის. სკოლის ადმინისტრაციისა და უფლებამოსილი პირების მხრიდან არსებობს შესაბამისი მზაობა მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში ქმედითი ღონისძიებების გატარებისათვის.

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. მშობელთან / მის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის მიზანია ორ მხარეს შორის წარმოშობილი ურთიერთობების დარეგულირება; ხელშეკრულებაში გაწერილია ნომერი, თარიღი, ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების საკითხი, მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სხვა პირობები. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობები შინაგანაწესის შესაბამისად რეგულირდება.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის შინაგანაწესი.
- „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“
- სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერალის წესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- მშობელსა და სკოლის დირექტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.



- სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა, 2023-2024 სასწავლო წლები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმების დაცვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №04/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“, შესაბამისად. კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები განსაზღვრული არის სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლას ჰყავს განსაზღვრული მოსწავლეთა მოძრაობაზე პასუხისმგებელი პირი. წესები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირებისათვის.

ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცესის ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოსწავლის ჩარიცხვა მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ხორციელდება, დაცულია პროცედურები და ვადები; კანონთან შესაბამისობაშია სკოლაში ჩარიცხვის მსურველი პირის წარსადგენი დოკუმენტაცია. მოსწავლეთა მიღების, ჩარიცხვის დროს სკოლა ითვალისწინებს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს.

ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლა, მოსწავლეს, მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს ინფორმაციას შინაგანაწესის, მომსახურების სახეების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში გეგმავენ და ახორციელებენ



მშობელთა კრებებს, სადაც დამსწრე საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას სკოლის შინაგანაწესის, ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საკითხების, შეფასების სისტემის, გაცდენების, მოსწავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ. სკოლას აქვს მოქმედი გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook), სადაც ასევე ქვეყნდება მიზნობრივი ინფორმაცია, სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული ინფორმირებისათვის. სკოლა მოსწავლეებს დამატებითი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არასავალდებულო საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურებების სახით სთავაზობს უფასო წრეებს (ეკო წრე „ბუნების მცველები“, მუსიკის წრე „ჰარმონია“, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრე „ფერადი სამყარო“); შემუშავებულია წრეების დებულებები და სამუშაო პროგრამები, რომელთა შესახებ ინფორმირებული არიან მშობლები და მოსწავლეები.

ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების, სერვისების, პროგრამების, რესურსების შესახებ გამჭვირვალეა; როგორც ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და დოკუმენტაციის გაცნობით იკვეთება, დაწესებულება ზრუნავს იმაზე, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს ობიექტური და სწორი, არ შელახოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები, არ იყოს დისკრიმინაციული ხასიათის. სკოლის ხელმძღვანელობა სიახლეების გავრცელებისათვის იყენებს სკოლის შემოსასვლელში არსებულ საინფორმაციო დაფას, სოციალურ ქსელში არსებულ ვებგვერდს (Facebook); მოსწავლეებს და მშობლებს სიახლეებს აცნობენ დამრიგებლები; სკოლაში განსაზღვრულია ვებგვერდის ფუნქციონირებაზე (Facebook) პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჩხენიშის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება საბაზო საფეხურის დამღევს შესახებ (2024 წ. აპრილი)
- სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჩხენიშის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ (2024 წლის იანვარი)
- სკოლის Eflow , Eschool ბაზა.
- მშობელთა კრების ოქმის უცხო ენის არჩევის შესახებ. (30.05.2023)
- სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის შინაგანაწესი.
- სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა, 2023-2024 სასწავლო წლები.
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook)

შეფასება:



- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელშიც განხილულია წარმატებული ადაპტაციის და დეზადაპტაციის ნიშნები, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. წარმოდგენილ დოკუმენტში დეტალურად არის განხილული მოსწავლის საჭიროებები და მექანიზმები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ადაპტაციის საკითხების წარმატებული გადაწყვეტა. მოსწავლის ადაპტაციის წესი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კლასის დამრიგებლის როლს, დროულ ინიციატივებს, კოორდინირებული ჯგუფური მუშაობის საკითხებს.

ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადაპტაციის წესიდან ირკვევა, რომ სკოლისათვის პრიორიტეტულია გაუადვილოს სკოლაში მოხილობით გადმოსულ და პირველკლასელ მოსწავლეებს სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრაციის პროცესი, საჭიროებისამებრ განუვითაროს მათ



თვითმომსახურების, ინსტრუქციების შესაბამისად მოქმედების უნარ-ჩვევები და აშ. წარმოდგენილ დოკუმენტში აქცენტს აკეთებს მოსწავლის ადაპტაციის პროცესში

მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენებაზე, ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბებაზე და ა.შ. გათვალისწინებული არის მშობლის აქტიური როლი და გაწერილია შესაბამისი რეკომენდაციები. ადაპტაციის წესი განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესში ჩართულ სავარაუდო პირთა წრეს და მათ ფუნქციებს.

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში, დამრიგებლის ფუნქციებში განსაზღვრულია ვალდებულება დაეხმაროს მოსწავლეებს აკადემიური და სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვა პრობლემების გადაჭრაში, რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, პრობლემების თუ წარმატებების შესახებ და ა. შ. მოსწავლეები პედაგოგებისაგან იღებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას; განმავითარებელი შეფასების საშუალებით კი ფასდება ცოდნის კონსტრუირების, ურთიერთდაკავშირების, ფუნქციური გამოყენების პროცესი. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება“, რომლის მიზანია მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბება, მშობლების დროული ინფორმირება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე.

ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციაში გატარების წესი, მასზე რეაგირების მექანიზმები და ვადები. შემოსული დოკუმენტაციის (მაგ. მშობლის განცხადება) რეგისტრაციის და რეაგირების შედეგებიდან ჩანს, რომ ადმინისტრაცია კანონით გათვალისწინებულ ვადებში ახდენს რეაგირებას და იცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს. მობილობა ხორციელდება კანონით განხორციელებული წესით და შესაბამის ვადებში. სკოლას შემუშავებული აქვს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა“. სკოლაში სერვისების განხორციელების პროცესის ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. სკოლა მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, პედაგოგის მიმართვის საფუძველზე, მიმართავს მოსწავლის რემედიაციას და მშობელთან შეთანხმებით, ახორციელებს დამატებით მეცადინეობებს.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელს უწყობს და ახალისებს არაფორმალურ განათლებას; ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არასავალდებულო საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების სახით, სკოლაში ჩამოყალიბებულია უფასო წრეები, კერძოდ, საბაზო და საშუალო საფეხურზე ფუნქციონირებს მუსიკის წრე „ჰარმონია“ და ეკოწრე „ბუნების მცველები“, ხოლო დაწყებით და საბაზო საფეხურზე ხელოვნების წრე „ფერადი სამყარო“; სკოლაში 2023-2024 წლებში ფუნქციონირებდა კლუბი „მკითხველები“, რომლის მიზანიც იყო მოსწავლეთა წიგნიერების ამაღლება, კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარება და ა.შ.



სკოლაში ხორციელდება საგანმანათლებლო პროექტები, მაგალითად დაწყებით საფეხურზე განხორციელდა პროექტი „ზღაპარი“, საბაზო საფეხურზე პროექტი „წიგნიერი თაობა“, საშუალო საფეხურზე სოციალური პროექტი „გინდა იყო ჯანმრთელი“?! მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლა ჩაერთო ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ ფესტივალში „გავაცოცხლოთ ანიმაციური ფილმები“. განხორციელებული პროექტების და ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია განთავსებული არის სკოლის ვებგვერდზე (სოციალური ქსელი Facebook). დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ორიენტირებულია ჯანსაღი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე, მოტივაციის ზრდაზე, აკადემიურ წინსვლაზე, მოსწავლეების სოციალური და ემოციური უნარების განვითარებაზე.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია

6. დაწესებულება, მშობლებიდან უკუკავშირის მიღების მიზნით, სხვადასხვა ხერხს მიმართავს; სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება“, რომლის მიხედვით, მშობელთა ინტერესის სფეროების, სასკოლო ღონისძიებებში ჩართულობის მზაობის დასადგენად გათვალისწინებულია კითხვარის გამოყენება. სკოლას წარმოდგენილი აქვს მშობლებისათვის განკუთვნილი კითხვარის ნიმუში. გარდა ამისა, უფლებამოსილი პირები მშობლებიდან უკუკავშირის იღებენ უშუალო კომუნიკაციის გზით; მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე სკოლა აფასებს გაწულ მომსახურებებს და მსჯელობს ცვლილებების აუცილებლობაზე.

ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება“.
- საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი.
- მშობლების კითხვარი.
- „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა“
- სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის სასკოლო სასწავლო გეგმა, 2023-2024 წწ.
- სოციალური და საგანმანათლებლო პროექტების გეგმები „წიგნიერი თაობა“, „ზღაპარი“, „გინდა იყო ჯანმრთელი?!“
- სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- სასკოლო კლუბის გეგმა და რეფლექსია.
- სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის გაერთიანებული სხდომის ოქმები: N2, N4 (2023-2024 სასწ.წ.)

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის საკითხები ინტეგრირებული აქვს სადამრიგებლო პროგრამებში. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, კლასების დამრიგებლების ორგანიზებით, სადამრიგებლო საათის ფარგლებში ეწყობა დისკუსიები მოსწავლეთა სამომავლო გეგმებზე, სასურველ პროფესიებსა და კარიერის დაგეგმვაზე. გარდა ამისა, სკოლა, შესაძლებლობების ფარგლებში, თანამშრომლობს სხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც პროფესიის შერჩევისა და კარიერის დაგეგმვის კუთხით საინტერესო სიახლეებს სთავაზობენ; მაგალითად, მიმდინარე წელს სკოლაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლებთან, რომლებმაც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მიაწოდეს მოსწავლეებს ინფორმაცია.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა, მუდმივად ახდენს მოსწავლეების მათ კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმირებას კარიერული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით; აღნიშნული საკითხის ორგანიზება, პირველ რიგში, ევალებათ დამრიგებლებს, რომლებიც თავიანთი კომპეტენციისა და სამოქმედო გეგმების ფარგლებში მოსწავლეებს აწვდიან საჭირო ინფორმაციას; გარდა ამისა, სკოლა სარგებლობს პროფესიული განვითარების და კარიერული დაგეგმვის კუთხით, სხვა ორგანიზაციების შემოთავაზებებით და აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს. სკოლის თვითშეფასების მიზედვით, აღნიშნულ საკითხებზე დისკუსიები იმართება, ასევე, საგნობრივ ჭრილში, მაგალითად სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა აკვირდება მათი კურსდამთავრებულების შედეგებს და მიღწევების სტატისტიკას, მოსწავლეების პროფესიული განვითარების შესახებ. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით და სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, დაწესებულება მომავლაში გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდამჭერ პროგრამასთან დაკავშირებით, ეფექტიანი და ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით. აღნიშნულის საფუძველზე კი მოხდება იდენტიფიცირება, თუ რამდენად დაეხმარა მოსწავლეს სკოლაში მიღებული კარიერული სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები, 2023-2024 წწ.
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook)
- სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის თვითშეფასება.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების საკითხები: კერძოდ, ინკლუზიური განათლების რაობა, ვინ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეები, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებისა და სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის საკითხები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კომპონენტები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასებისა და შინაგან მოსწავლის, უსაფრთხო გარემოს შექმნის საკითხები. სკოლის დირექტორის ბრძანებით ჩამოყალიბებულია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი და დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი; სკოლას შედგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მოსწავლის საჭიროებებზეა მორგებული; შეფასება ხორციელდება ისე გეგმით გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში. სკოლაში დასაქმებულია ერთი სპეცმასწავლებელი, ასისტენტი; დაწესებულებას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, მოსწავლეებს აქვთ პორტფოლიოები.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია

